

თავი 1

"შენი ცოლი, ვითარცა ვაზი მსხმოიარე, შენი სახლის კიდეებში, შენი ძენი, ვითარცა ყლორტები ზეთისხილისა, შენი სუფურის გარშემო".

(თეპილიმ 128, 3-4)

თეპილიმის ეს მუხლი ლაპარაკობს იმ დროზე, როცა ქალი თავისი წილოვანობისას სისხლს ხედავს, და ამის გამო თქვა "ვითარცა ვაზი მსხმოიარე" და თქვა "შენი სახლის კიდეებში", ესე იგი, როცა შენგან დაშორებული იქნება (შენი ცოლი) ერთ მხარეს, ისევე, როგორც შენ გაურბი ცეცხლს. თუ ასე მოიქცევი, შენი ძენი იქნებიან, ვითარცა ყლორტები ზეთისხილისა, რომლებიც იყვნენ სპეგაკნი და არავითარი ხინჯი არ იყო მათში. რაბენუ ბეხაიე. (ბერემით 24).

რაბი ზირამ თქვა: ისრაელის ქალიშვილები ისე მკაცრად ექცეოდნენ თავიანთ თავს, რომ ერთი წვეთი სისხლიც რომ დაენახათ, იმისათვის შვიდ სუფთა დღეს იცავდნენ.

თანა რაბი ელიაჰუ: "ყველა, ვინც ებრაული კანონმდებლობის წესდებებს სწავლობს ზეპირად (როგორც ეს წილოვანების გრაქტაგში წერია), მას დაპირებული აქვს, რომ ის იმქვეყნის შვილი იქნება, როგორცაა ნათქვამი – საუკუნოა მისი გზა." გემარადან მოყვანილი ეს გამოთქმა წილოვანების წესდებაზე იმას ნიშნავს, რომ უნდა ვისწავლოთ და დავიმეპიროთ (წილოვანების წესდებები ყველაზე მეტად უნდა ვისწავლოთ და ვიმეიროთ).

ასე დაწერა რამბანმა წილოვანების წესდებების მე-6 თავის მე-16 წესდებაში: "ისრაელის ქალიშვილები უნდა გაფრთხილდნენ თვიურის გამოთვლასა და მათ წესდებებში. არაფერი გაქვს იმაზე მნიშვნელოვანი სასწავლებელი, ვიდრე გამონადენის წესდებები, როგორც თვიურის დროს მორიდება. ასე წერია ჩვენი რაბის იაკაკოვ ლისელის ანდერძში "ხავათ დაყათ": ქორწინებისას უნდა ისწავლოთ თვიურისა და წილოვანების წესდებები მანამ, სანამ ძალიან კარგად არ გეცოდინებათ. მისი სწავლა ყველა დანარჩენის სწავლაზე წინ უნდა დააყენოთ".

რაბი ხალაფთამ თქვა: ნეგარია ქალი და ნეგარია მშობიარე და მისი ქმარი და ნეგარია ოჯახი ყველა იმ ქალისა, რომელიც ზედმიწევნით ფრთხილობს. (ბერაიეთა ნიდა, თავი 1-ლი, წესდება 1-ლი).

"ყვავივით შავი", ესაა თორის ფარაშები, მიუხედავად იმისა, რომ სიმახინჯედ და მიუღებლად გვეჩვენება ხალხმრავლობაში ამის წარმოთქმა, (როგორცაა გამონადენისა და სენის, წილოვანებისა და მშობიარის წესები), უფალმა ღმ-თმა თქვა: ისინი ხომ საამოა ჩემთვის, როგორცაა ნათქვამი: "და საამო იქნება უფლისათვის იეჰუდასა და იერუშალაიმის შესაწირავი" და ა.შ. იცოდე, რომ ის მართალია, გამონადენისა და თესლდენის ფარაშა ერთნაირად არ იყო ნათქვამი, რადგან ის ცალკეა და ის ცალკე. (იმის გამო, რომ სასურველია, ორ ფარაშადაა დაყოფილი. ვაიკრა რაბა 19, 3).

"სიბარმაცის გამო ჭერი ჩამოიწევს და ხელების დაკრეფით სახლში წვეთავს" (ქოჰელეთ 10, 18). რაბი აბა ფათარ კერამ განმარტა ეს მუხლი იმ ქალზე, რომელიც სიბარმაცის გამო წესიერად არ დაიფარავს განს, ჭერი ჩამოიწევა და როგორც წერია: "და ცხადქმნის მის სარცხვენელს, მის საწყისს გააშიშვლებს, ქალი კი ცხადქმნის თავისი სისხლის საწყისს", და ხელების დაკრეფით, თავისი სიბარმაცის გამო (ქალი ბარმაცობს და არ ამოწმებს თავის თავს ცოდვაში ყოფნისას), სახლში წვეთავს, ის ხომ

სისხლით ივსება, როგორც წერია: "და ქალი, რამეთუ იდინებს მისი სისხლდენა მრავალი დღის განმავლობაში" (ვაიკრა რაბა 19, 4).

უფალი ღმ-თი ისრაელის უწმინდურობას წილოვანების უწმინდურობას აღარებს, რომ იბილწება და იწმინდება. ასე გაწმენს მომავალში უფალი ღმ-თი ისრაელს, როგორცაა ნათქვამი: "და მოვასხამ თქვენზე წმინდა წყალს და განიწმინდებით". იალკუტ შიმყონი, "მეცურაყ" ("კეთროვანი") ფარაშის ბოლო.

რის გამო მოაწია მათზე უფალმა ღმ-თმა სისხლის ცემულობა წილი წილისა წილ, ასე რომ უთხრა ავრაჰამს: "და იმ ერსაც, რომელიც მათ დაიმონებს, გავასამართლებ მე", რადგან არ ანებებდნენ ისრაელის ქალიშვილებს თავიანთი უწმინდურობიდან მიკვეში რომ ამოვლებულიყვნენ, რათა არ განაყოფიერებულიყვნენ და გამრავლებულიყვნენ. ამის გამო წყალი სისხლად იქცა". (შემოთ რაბა 9, 10).

სარას და რივკას ეღიროსათ, რომ სიწმინდის საპატივცემოდ მათ კარავზე ღრუბელი ყოფილიყო გამობმული, რადგან ისინი ფრთხილობდნენ წილოვანების დროს განწმენდილიყვნენ, რამეთუ განწმენდა წმინდა სულს მოავლენს. (სიფთე ხახამიმ ბერეშით 24, 67).

მეფე დავიდი თეჰილიმის 128 თავში აღგვიწერს თუ როგორ უნდა მოიქცეს ღვთის მოშიში ქალი. ერთ-ერთი ასეთ საქციელზე ასე წერს: "შენი ცოლი, ვითარცა ვაზი მსხმოიარე, შენი სახლის კიდეებში, შენი ძენი, ვითარცა ყლორტები მეთისხილისა, შენი სუფრის გარშემო". ამას ასე ხსნის რაბენუ ბეხაიე, ერთ-ერთი უდიდესი ისრაელის ბრძენი, რომელიც 700 წლის წინ ცხოვრობდა და რომელიც თავის წიგნში "მიღრაშ რაბენუ ბეხაიე" ბერეშითის ფარაშის 34 თავის მე-11 მუხლში წერს, რომ შემოთ მოყვანილი მუხლი თეჰილიმიდან ლაპარაკობს ქალის წილოვანებაში ყოფნის დროზე, როცა ის სისხლს ხედავს. ეს მუხლი "შენი ცოლი, ვითარცა ვაზი მსხმოიარე", ესე იგი, როცა ის სისხლს ხედავს, რომელიც მსხმოიარე ვაზივით წითელია, მაშინ ის "შენი სახლის კიდეებში" უნდა იყოს, ესე იგი, შენ (კაცმა) გვერდით უნდა დაგოვო ის (ცოლი) და გაშორდე მას, როგორც ცეცხლს (აქ რა თქმა უნდა ლაპარაკია სიახლოვის საკითხზე და არა ადამიანსა და მის მეგობარს შორის შრდილობიანად და წესიერად მოქცევაზე).

როგორი საზღაური ელის ცოლ-ქმარს, რომლებიც ასე იქცევიან: "შენი ძენი, ვითარცა ყლორტები მეთისხილისა, შენი სუფრის გარშემო". და აი, იქნებიან შენი ძენი წესიერნი და დაფასებულნი და არავითარი ხინჯი არ იქნება მათში (ამიგომაა ის შედარებული მნიშვნელოვან და წესიერ მეთისხილს).

ამ თავს დავუთმობთ ძვირფას მკითხველს, რომელიც თავის თავს ეკითხება: მე ნამდვილად ვიცი, რომ თორის წიგნი ცხოვრების მითითებების წიგნია. მაგრამ მე მინდა ვიცოდე სად დაიწერა მითითებები, რომლებიც ამ ჩვენს წიგნში, მითითებების წიგნშია განხილული. მოდით და მოკლე გზას დავადგეთ ფარაშებისკენ, რომლებიც წმინდა თორის წიგნში, მითითებათა წიგნშია, რომელიც ჩვენს თემას ეხება.

წიგნ "ვაიკრას" მე-15 თავში მოყვანილია რამდენიმე წესდება უწმინდურობასა და სიწმინდებზე. მათ შორის ნათქვამია მე-19 მუხლში: "და თუ ქალს ექნება სისხლდენა, დინება იქნება მისი ხორციდან, შვიდ დღეს იყოს თავის წილოვანებაში; და ყველა, ვინც მას შეეხება, არაწმინდა იქნება მწუხრამდის", და ა.შ. "და თუ დაწოლით დაწვება მამაკაცი მასთან, მისი წილოვანება იქნება მასზე და არაწმინდა იქნება შვიდ დღეს. და

ყოველგვარი საწოლი, რომელზეც დაწვება, გაუწმინდურდება". "და ქალი, რომლის სისხლიც იდენს მრავალი დღის განმავლობაში, მის წილოვანებაზე მეტხანს, მისი უწმინდურების მთელი დრო ვითარცა მისი წილოვანების დღეები, არაწმინდა იქნება იგი". "და თუ განიწმინდა სისხლისდენისაგან დაითვალოს შვიდი დღე და შემდეგ განიწმინდება".

აქამდეა ციგაგა "ვაიკრას" მე-16 თავიდან, რომელშიც თორა არ წერს სიმკაცრით, გაფრთხილებებითა და სასჯელებით.

მაგრამ, მოლით, დაუუკვირდეთ მე-18 თავს, რომელშიც თორა ბრუნდება და იმეორებს წილოვანების წესდებებს უფრო მკაცრი ენით: "და ელაპარაკა უფალი ღმ-თი მოშეს ასე: "ელაპარაკე ისრაელის შვილებს და უთხარი მათ: მე ვარ თქვენი უფალი ღმერთი. ეგვიპტის ქვეყნის ჩვეულებისამებრ, სადაც ცხოვრობდით, არ მოიქცეთ. და ქენაანის ქვეყნის ჩვეულებისამებრ, სადაც ვიცხოვრიათ, არ მოიქცეთ. და მათი წესდებებით არ იაროთ. ჩემი კანონები შეასრულეთ და ჩემი წესდებანი დაიცავით, რათა მათ მიხედვით იაროთ; მე ვარ თქვენი უფალი ღმერთი. და დაიცავით ჩემი წესდებანი და ჩემი კანონები, რომელთა შესრულებით ცოცხლობს ადამიანი; მე ვარ უფალი". (აქედან მოყოლებული თორა ჩამოთვლის სისხლის აღრევის აკრძალვებს, როგორცაა მამაკაცის დაწოლა ღეღამისთან, მის დასთან, მის დეიდასთან და ა. შ. მე-19 მუხლში ნათქვამია: "და ცოლს მისი წილოვანების უწმინდურებისას არ მიეკარო მისი სარცხვენელის ცხადსაქმნელად. (შემდეგ თორა აგრძელებს კიდევ რამდენიმე აკრძალვის ჩამოთვლას და ამთავრებს ყველაზე მკაცრი გაფრთხილებით. რა გაფრთხილებებია ესენი: "არ წაიბილწოთ ყოველივე ამით, რამეთუ ყოველივე ამით წაიბილწნენ ხალხები, რომელთაც მე ვაძევებ თქვენგან". "და დაიცავით ჩემი წესდებანი და ჩემი კანონები და არაფერი გააკეთოთ ამ სისაძაგლეებიდან არც მკვიდრმა და არც ხიზანმა, რომელიც თქვენს შორის ცხოვრობს". რამეთუ ყოველნი, ვინც ამ სისაძაგლეებიდან ჩაიდენენ, მოიკვეთებიან ამის ჩამდენი სულიერნი თავიანთი ხალხის წიაღიდან". "და დაიცავით ჩემი დასაცავი და არ მიჰყვეთ საძაგელ წესდებებს, თქვენამდე რომ კეთდებოდა და არ წაიბილწოთ მათგან, მე ვარ თქვენი უფალი ღმერთი" (ვაიკრა 18).

კარგით, იეხემკიელის წინასწარმეტყველებით დაგვასრულოთ. წინასწარმეტყველი იეხემკიელი თავისი წიგნის მე-18 თავის მე-5 მუხლიდან აღწერს ცადიკის კარგ გზებს და მის საზღაურს. ესაა მისი ნათქვამი: "და თუ კაცი მართალი იქნება და იქმს სამართალსა და სიმართლეს, მთებზე შეწირულისაგან არა ჭამს (ეს ნიშნავს, რომ მსხვერპლი არ შეუწირავს კერპთათვის, რომელთაც მთებში სწირავდნენ) და თვალი ისრაელის სახლის კერპებისაკენ (სხვადასხვა სახის კერპთაყვანისმცემლობა) არა აქვს მიპყრობილი და მოყვასის ცოლს არ ბილწავს (სხვა კაცის ცოლთან ურთიერთობის აკრძალვა) და წილოვან ქალს არ ეკარება, და ა. შ. და ჩემი დადგენილებებით დადის და ჩემს სამართალს იცავს ჭეშმარიტების საქმნელად – მართალია ის, სიცოცხლით იცოცხლებს – სიგყვა უფალი ღმერთისა".

თავი 2

ნაწყევლები სამოთხის დროინდელი წიგნიდან
(**ისრაელის ცენტრი ოჯახის სიწმინდის საკეთილდღეოდ**)
თორის მცნებების მე-3 ნაწილი

ჩვენი წმინდა თორიდან ნაბრძანები გვაქვს ექვსას ცამეტი მცნება და ისინი დაყოფილია სამ ნაწილად: 1. სამართალნი, 2. მოწმობანი, 3. კანონები.

1. სამართალნი – მორალური მცნებებია, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ ადამიანსა და მის მოყვასს შორის ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულებით შექმნას საზოგადოება, როგორცაა: "არ მოიპარო", "არ მოკლა"; ავი ენით ლაპარაკისა და ჭორაობის, სიცრუისა და გამოძალვის, პროცენტით ფულის სესხებისა და ა. შ. აკრძალვა.

2. მოწმობანი – სიმბოლური მცნებებია, რომლებიც ღვთაებრივ სინამდვილეს შეგვახსენებენ, როგორცაა: ლოცვა, რწმენა, ფესახის დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლის შესახსენებლად, შაბუყოთის დღესასწაული თორის ბოძების შესახსენებლად, სუქოთის დღესასწაული დიდების ღრუბლების შესახსენებლად, რომლებიც ისრაელის შვილებს ჰქონდათ გარსშემოხვეული ეგვიპტიდან გამოსვლისას, შაბათის დაცვა, ექვს დღეში ქვეყნიერების შექმნის მოწმობა და ა. შ.

3. კანონები ჩვენი მცირე გონებისათვის ყველაზე ძნელი გასაგები მცნებებია, როგორცაა: ოჯახის სიწმინდის კანონი, პროლექტის სიქაშრის წესები, შააგნები, და სხვა მცნებები, რომელთა შესრულებაც გადაგვიწყდა და უნდა შევასრულოთ, თუნდაც მათი შესრულების მიზანი არ გვესმოდეს.

ამ ნაწილში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი მაიცადამიანც ისრაელის ქალიშვილებს მიეცათ. ეს იმიტომ, რომ თორა განსაკუთრებულ პატივს სცემს ებრაელ ქალს, როგორც ეს ამ მუხლშია ნათქვამი: "ასე უთხარი იაყაკოვის სახლეულს" – აქ ნათქვამი ეხება იაყაკოვის სახლეულის ქალებს. ეს მცნება კანონის სახითაა მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი განმარტება აქვს, რომელთა უმრავლესობაც ჩვენთვის დაფარულია, მაგრამ ბოროტი ინსტიქტი (იეცერ ჰარაყ) პოულობს გამოსაყვალს სხვადასხვა შეკითხვებით გააძნელოს მათი გაგება.

ეს კი, ფაქტიურად არის მიზეზი იმისა, რომ ეს მცნება ასეა მიგოვებული და ყოველი ადამიანი, რომელიც მტკიცე არაა თავის ებრაელობასა და რწმენაში, მაშინვე მიაგოვებს მას და გვიროს ბურგიდან გადაიგდებს.

ამ ცოდვის სიმკაცრის ახსნის მეთოდი.

თითქოს, თორაში ოცდათექვსმეტი რამ არის, რაზეც ქარეთს (მოკვეთას) მოითხოვენ (ქარეთი ნიშნავს ადამიანის სულის ძირფესვიანად მოკვეთას). მათ შორის ყველაზე ცნობილია: ფესახში ხამეცი საკვები, ქიფურის დღეს ჭამა, დასთან, სიდედრთან და სხვ. სექსუალური ურთიერთობა, წიღოვან ქალთან ურთიერთობა, ე.ი. ცოლქმრული ურთიერთობა გებილისა და წესისამებრ შვილი სუფთა დღის დათვლის გარეშე. მაგალითად: ადამიანს რომ უთხრან, რომ დიდ თანხას მისცემენ მთელი მისი ვალების დასაფარავად და საკმაოდ დიდ თანხასაც უბოძებენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თუ ქიფურის დღის მინხის დროს ჭიქა წყლის დაღვევას დათანხმდება ან ფესახის სედერის დროს ხაროსეთსა და ხრენს ხამეც ფითაში ჩადებს მაცის ნაცვლად, დარწმუნებული ვარ, რომ ებრაული სამყაროს არცერთი ისრაელის შვილი ერთი წუთითაც არ გაივლებს ასეთ მწედაცემულ საქციელზე დაფიქრებას, რომ თავისი თორა და თავისი რწმენა ფულში გაცვალოს.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ბევრი და კარგი ადამიანები, რომლებიც ქიფურში მთელი დღის განმავლობაში სალოცავში სხედან, (მე თვითონ მინახავს ნერწყვის გადაყლაპვაზეც რომ ფრთხილობენ), ასევე გრადიციული ოჯახებიდან გამოსული ქალები, რომლებიც უკვე ხანუქის

დღესასწაულის შემდეგ იწყებენ ფესახისათვის სახლის გელმიწევნით დასუფთავებას და მათი სახლები ფესახში მართლაც ჩინებულადაა დახეილ-დაკრიალებული, მაშინვე "თავიანთი თორის" ახსნა-განმარტებას დაიწყებენ, როცა მათ გებილასა და ებრაულ ოჯახურ სიწმინდეზე დაუწყებენ ლაპარაკს: "დღეს არის ჯაკუმი, არის თანამედროვე პარფუმერია, და სახლის შხაპებში ანკარა წყალი მოედინება, მიკვე კი მხოლოდ ხასიდუთია". ვაი ყურებს, რომ ასეთ რამეს ისმენენ.

ფაქტიურად, აქ უნდა ავუხსნათ იმ ქალებს, რომლებიც ცდებიან, რომ ღმრთის რწმენის მცნება მარტო სამართალნი და მოწმობანი კი არ არის, არამედ კანონებიცაა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს არავითარი აზრი არა აქვს მცნებას, ზუსტად ის უნდა შევასრულოთ ღვთის გულისათვის და მთელი რწმენით, როგორც ისრაელის შვილებმა თორის მიღებისას თქვეს "გავაკეთებთ და მოვისმენთ", ესე იგი, სურდათ ამ მცნების შესრულება, მანამ, სანამ გონივრულ ახსნას მიიღებდნენ.

რა არის ქარეთის სასჯელი?

თორაში ბევრ შეცოდებაზე, რომელიც განმრავლიაა ჩადენილი მოწმეებისა და გაფრთხილების გარეშე, "ქარეთით" სასჯელია ნათქვამი (მოწმეებით და გაფრთხილებით სასჯელი იცვლება ჩაქოლვით ან გაწკეპვლით და მსგავსი სასჯელებით). "ქრითოთ"-ის გრაქტაგის პირველი მიშნა ჩვეულებრივ ოცდათექვსმეტ ასეთ შეცოდებას ჩამოთვლის, რომელთა შორისაც იყო შეცოდებანი, რომელმაც სასჯელი ქარეთია.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სამი სახის ქარეთი არსებობს, რომლებიც შემცოდველის სულიერი მდგომარეობის მიხედვით იცვლება. ასე გვასწავლის ჩვენი დიდი რაბი რამბანი (რაბი მოშე ბენ ნახმანი) თავის წიგნში "შაყარ ჰაგმულ" 60-66 ნიშნებში და მის მიერ თორის განმარტებაში 18, 29.

რამბანი თავისი ღრმა ჩაკვირვებით ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მუხლები, რომლებიც სხვადასხვა შეცოდების გამო ქარეთით სასჯელზე მიუთითებენ, თანაბარი არ არის. ამის და ჩვენი ნეგარხსენებული ბრძენების ნათქვამის მიხედვით დაადგინა რამბანმა თავისი დადგენილებები.

მოდით და მივეყვით რამბანის გზას.

აი, "შემოთ"-ის წიგნის ოცდამეათე თავში, 22-33 მუხლებში ნათქვამია წასაცხოველი ზეთის შესახებ. მოშე რაბენუს ებრძანა მოემზადებინა და წაეცხო ის ბჭობის კარვისა და წმინდა ჭურჭლისათვის. მის შემდეგ კი უფალი ღმერთი ეუბნება მოშეს: "და ისრაელის შვილებს ელაპარაკე ასე: დაე, წმიდა მოცხების ზეთი იყოს ეს ჩემთვის თქვენს თაობებში, ადამიანის სხეულს არ წაეცხვას და მისი შედგენილობის მიხედვით არ გააკეთოთ მისი მსგავსი... ვინც შეაზავებს მის მსგავსს ანდა სცხებს მას უცხოს, მოიკვეთოს თავისი ხალხისაგან". აი დანაშაული, რომელმაც ქარეთით ისჯებიან, როგორც ამ მუხლშია ნათქვამი "მოიკვეთის თავისი ხალხისაგან".

ზუსტად ამავე ენითაა ნათქვამი საყნოსავის მსგავსის გამკეთებელზე, 30-ე თავის 38-ე მუხლი.

ასევეა ნათქვამი ბჭობის კარვის გარეთ მსხვერპლის დაკვლაზეც, "ვაიკრა" 17, 4: "მოიკვეთოს ის კაცი თავისი ხალხის წიაღადან". ასევე მე-9 მუხლში: "მოიკვეთოს ის კაცი თავისი ხალხისაგან".

აგერ კიდევ გვაქვს რამდენიმე გამოთქმით მითითებული შემცოდველი კაცის, (ესე იგი მისი სხეულის) მოკვეთის შესახებ.

მაგრამ აი, ვნახეთ სხვა გამოთქმები, მოკვეთის სხვა სახეც. მაგალითად "ბერეშით" 17, 14: "და წინადაუცვეთელი მამრი, რომელიც არ დაიცვეთს თავის კიდურ ხორცს, დაე, მოიკვეთოს ის სული თავისი ხალხისაგან". აქ ნათქვამია სულის მოკვეთა და არა სხეულის.

საინგერესოა კიდევ ფესახში ხამეცის მჭამელზე ნათქვამი "შემოთ" 12, 19: "რამეთუ ვინც აფუებულს ჭამს, მოიკვეთება ის სული ისრაელის თემიდან". ასევე სისხლის აღრევის აკრძალვა, "ვაიკრა" 18, 29: " მოიკვეთებიან ამისი ჩამდენი (მამრი და მდედრი) სულნი თავიანთი ხალხის წიაღიდან". ყველა ეს ნათქვამი მიგვითითებს სულის მოკვეთაზე.

ახლა რამბანი განგვიმარგავს თუ რა არის სულის მოკვეთა და რა არის სხეულის მოკვეთა და რამეა დამოკიდებული. აი, ამის შინაარსი: ადამიანი რომელიც ცადიკია (ცადიკი ეწოდება ადამიანს, რომელიც თორის ყველა მცნებას ასრულებს და ფრთხილობს არავითარი ცოდვა არ შესცოდოს), მაგრამ ერთხელ მაინც თუ დასძლია ვნებამ და ჩაიჭრა ცოდვაში, რომელზეც სასჯელი ქარეთია და თეშუბაზე არ შემობრუნდა და არ მოინანია, მაშინ ის პირველი სახის ქარეთით, სხეულის მოკვეთით ისჯება. ის ვერ მიაღწევს სიბერეს და მოკვდება მანამ, სანამ სამოცი წელი შეუსრულდება. (გემარა "მოყედ კაგან"-ის 28 თავში მოგვითხრობს რაბი იოსეფზე, რომელმაც სამოც წელს მიაღწია და სეყუდა მოაწყო, თქვა რა, ქარეთის ცოდვიდან გამოვედიო. მაგრამ მისი სული ღირსი ხდება წილი ჰქონდეს იმქვეყნად და ეღირსოს ყოველივე სიკეთეს, რაც მას ელის იქ ღმერთის თვალში მისი წესიერი გმით სიარულის გამო. ის მკვდრეთით აღდგომის ღირსიც ხდება. ესაა ცადიკის ქარეთი.

მაგრამ ვისი ცოდვებიც მის ღირსებებზე მეტია, (რამბანის თქმით, რომელმაც ცოდვები შესცოდა, რომელზე სასჯელიც ქარეთია და არ მოინანია და თეშუბაზეც არ შემობრუნდა, მისი სასჯელი სასჯიკია, ის იმ მძიმე ქარეთით ისჯება, რომელიც სულის ქარეთია. მაგრამ თუ იმ ადამიანს დღეები გაუგრძელდება და სიმშვიდითა და სიამოვნებით მიაღწევს სიბერემდე, შლომო ჰამელეხის ნათქვამისამებრ "და არის ავკაცი, რომელიც თავისი სიბოროტით იგრძელებს დღეებს" (ქოჰელეთ 7), მაგრამ გარდაცვალებისთანავე მისი სული იკვეთება სულთა სამყაროდან, მას წილი არა აქვს იმქვეყნად და ვერც მკვდრეთით აღდგომას ეღირსება.

რამბანი იმასაც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ მისი თესლიც იკვეთება სულთა სამყაროდან, რადგან მის შთამომავალთა სულები მასზე არიან დამოკიდებულნი. ეს კი ყვაილებითა და ნაყოფით აყვავებულ ხეს ჰგავს, რომელსაც თუ ძირფესვიანად მოთხრიან, მისი ყვაილები და ნაყოფიც გახშება, რადგან ისინი ყველა ერთი ფესვიდან არიან წარმოქმნილნი.

ახლა კი, ვინც ყოველივე ამას ხედავს და ვისაც ოღნავი ღვთის შიში და მორიდება აქვს, გულზე მოხვდება და მაშინვე მორიდებს და მოიშიშებს, თუ ღმ-თმა დაიფაროს, არ იცავს ოჯახის სიწმინდეს და წილოვანების ცოდვაში იჭრება, რომელზეც სასჯელიც ქარეთია (გინდა კაცი იყოს ის და გინდა ქალი, როგორც 1-ელ თავშია ახსნილი). და ვინ არის ის, ვისაც შეუძლია თქვას, რომ ის სუფთა და ცადიკია და მისი ყველა გზა მშვენიერი და გამოსწორებულია კურთხეული ღმერთის წინაშე.

და ვინც ან მწარე ცოდვაში ჩაიჭრა, თანაც საკმაოდ ბევრჯერ, ასეთი კაცი საით წაიღებს სახეს, რას უპასუხებს და როგორ გაიმართლებს თავს, როგორი პრეცედენტი ექნება მას განსჯის დღეს.

მაგრამ რა თქმა უნდა პასუხი ყველაფრის მკურნალია, განსაკუთრებით კი თვალწინ თუ დავეულებთ იმ სასტიკ სასჯელს, რომელიც მის წინაშეა წამოყენებული, მაშინ ის ხომ იმ წუთშივე მიაგოვებს თავის ცოდვეს, ძალიან ინანებს, აღიარებს და საკუთარ თავზე აიღებს მომავალში აღარასოდეს დაუბრუნდეს ამ სულელურ საქციელს. ნეგარება ასეთ ადამიანს, ნეგარია მისი წილი და სასიამოვნო მისი ბედ-იღბალი, რამეთუ სულ ოდნავი მონდომებით ეღირსა თავისი თავის წმიდაყოფას და თავისი სულის განწმენდას, თავისი და თავის შთამომავალთა სულები სიცოცხლის ფესვებს დაუბრუნა, ამაღლდა და აღმევდა ძალიან მაღალ საფეხურამდე, იქამდე, რომ სადაც თემუბაზე დაბრუნებულნი დგანან, იქ ჭეშმარიტ ცაღიკებსაც არ შეუძლიათ დადგომა.

და რაოდენ შესანიშნავი და წამახალისებელია ამ საკითხთან დაკავშირებული რამბამის (რაბი მოშე ბენ მაიმონის) სიტყვები "ჰილხთ თშუვა" თავი 7, ჰალახა 6: "თემუბა აახლოებს შორეულთ, გუშინ ეს იყო საძულველი იმ ადგილის წინაშე, განშორებული სისაძაგლე და საზიზღრობა, დღეს კი საყვარელია ის, სასურველი ახლობელი და მეგობარი".

ყველა ესენი სულიერებით აღსავსე სარგებელია გარდა იმ სხვა უდიდესი სარგებლებისა, როგორცაა სამედიცინო, სოციალური და სხვა სარგებელი, როგორც წიგნშია ფართოდ მოყვანილი.

ჯერჯერობით ვისწავლეთ ორი სახის ქარეთზე. როგორც გვახსოვს, არის კიდევ ერთი ქარეთი. ეს ქარეთი ყველაზე სასტიკია და ისეთ მძიმე შეცოდებებზეა ნათქვამი, როგორცაა აღვირახსნილი კერპთაყვანისმცემლობა და გამჩენის გინება და მათ მსგავსი, რომლებზეც ნათქვამია: "რამეთუ სიტყვა უფლისა უგულებელჰყო და მცნებანი მისნი დაარღვია, მოკვეთით მოიკვეთოს ის სული, მისი ცოდვა მასზეა" (ბამიღბარ 15, 31). საზალმა (ჩვენმა ნეგარსხენებულმა ბრძენებმა) გემარაში სანედრინ 64 ასე ახსნეს: ეს ორმაგი ნათქვამი "მოკვეთით მოიკვეთება" გულისხმობს, რომ ამქვეყნადაც მოიკვეთება და იმქვეყნადაც. ესე იგი, ეს ადამიანი ისჯება სულის ქარეთიცათ და სხეულის ქარეთიცათ, ესე იგი, დღემოკლეობითაც კვდება და მისი სული სულების სამყაროდან იკვეთება. მას ადგილი არა აქვს იმქვეყნად და მკვდრეთით აღდგომის დროს არ აღდგება.

ესაა ქარეთთან დაკავშირებული მთავარი საკითხები. ვისაც სურს უფრო დაწვრილებით შეისწავლოს ეს საკითხი, წაიკითხოს ზემოთ დასახელებული რამბანის ნაწერები, განსაკუთრებით კი წიგნი "შაყარ ჰაგმულ", რომელშიც ფართოდ არის განხილული ეს საკითხი.

ახლა კი სჯობს საინტერესო რამით დავასრულოთ, რაც რამბანს სხვათა შორის მოჰყავს, რომ ის მუხლები, რომლებიც სულის მოკვეთაზე მიუთითებენ, ხომ გარკვეული მტკიცებაა სიკვდილის შემდეგ სულის დარჩენისა, რამეთუ, როცა ითქვა და მოიკვეთა ის სული თავისი ხალხის წიაღიდან და ასე შემდეგ, ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ მუსკად მცოდველი სული მოიკვეთება, მაგრამ დანარჩენი სულები კი მარადიულად იარსებებენ. (ნახე რამბანის განმარტებაში ამ მოძღვრებაზე კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი დამატება, მაგრამ აქ საჭიროდ არ ვთვლით ამის გაგრძელებას.

საწოლი ოთახი წმიდათა წმიდაა

მას, ისრაელის ქაშერ ქალიშვილს, შეშენის შეიგნოს და შეისწავლოს. რომ ოჯახის სიწმინდის მცნებისა და მასთან დაკავშირებული ყოველივეს

დაცვით, მას თავის სახლში თვით კურთხეული უფალი ღმ-თი შეჰყავს და ამასთან ერთად წმინდა შეხინა და ღმ-თის კურთხევაც შეაქვს.

როცა ჩემთან სიძე-პაგარძალი მოდიან იმისათვის, რომ "ხუფა" და "კიდუშინი" მოვუწყო, მე მათ რამდენიმე კითხვას ვუსვამ, რათა გამოვცადო ისინი, თუ რა იციან იმის შესახებ, რაც მათ ცოლ-ქმრული ცხოვრების მანძილზე მოეწიეს. მე მათ ვეკითხები: დაინგერესებულნი ხართ თუ არა, რომ თვით კურთხეული უფალი ღმ-თი მთელი თავისი დიდებულებით გესტუმროთ თქვენ სახლში? რა თქმა უნდა, მაშინვე დადებით პასუხს იძლევიან. მაშინ მე ისევ ვეკითხები მათ: სახლის რომელ ნაწილში ისტუმრებთ მას? ისინი მაშინვე ერთხმად მპასუხობენ: ყველაზე საპაგიო ადგილას, სტუმრების მისაღებ ოთახში – სალონში. მაშინ კი მე ვუცხადებ მათ, რომ ისინი ცდებიან, რადგან უფალი ღმ-თის ადგილი იქ არ არის. ისინი პირდაღებულები კითხულობენ: აბა სადაა? მე კი ვპასუხობ მათ: საწოლ ოთახში, ცოლისა და ქმრის საწოლებს შორის არსებულ ინგერვალში. და იქიდან მოიზიდება უხვი სიწმინდე და სისპეგაკე მთელი სახლისთვის. ისინი წარბს ჭიმავენ გაკვირვებით, აქედან კი უკვე შეიძლება დაიწყო და აუხსნა მათ იმ კავშირის შესახებ, რომელიც ოჯახის სიწმინდის სრულყოფილად დაცვით ებრაელის სახლში შეხინის დასადგურებისა და მშვიდობის მოგანის საწინდარია.